ოქმი:ო31. 3126082001
თარიღი:23/03/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

17. 03. 2026 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 26 მარტი 12:00 საათი.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და

სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ხდომას

გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ.** მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“.

2.მე- 10 მუხლის მე-13 და 14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

14.საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განიხილება რიგგარეშედ“.

3.რეგლამენტის 47 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს პირველი სხდომა მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;

ზ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

თ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა“.

4. რეგლამენტის 47 მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„5. ფრაქციების შექმნისთანავე, ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შესაძლოა მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა გადაიდება, არაუმეტეს ერთი კვირით.“

5. რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამანდატო დროებითი კომისია განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, საკრებულოს ამცნობს

საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ.“

6. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 51-ე მუხლი.

7. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 52-ე მუხლი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 61552515 ლარი შეადგინა გეგმის 96,9 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 17426342 ლარი გეგმის 101,3 %-ი, შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით)- 21469307 ლარი, რაც გეგმის 101,3 %-ს შეადგენს, სხვა შემოსავლები მიღებულია 3880946 ლარი, რაც გეგმის 101,1 %-ს შეადგენს, მათ შორის-სანქციები (ჯარიმები და საურავები) 3190106 ლარი, რაც გეგმის 97,5 %-ს შეადგენს. დამატებითი ღირებულების გადასახადი მობილიზებულია 15033969 ლარი, რაცც გეგმის 100,2 %-ს შეადგენს, ქონების გადასახადი მიღებულია 2392373 ლარი, რაც გეგმის 108,8 %-ს შეადგენს. არაფინანსური აქტივების კლებაზე მიიმართა 32019 ლარი.

საანალიზო წელში გაწეულია 57846655 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის - შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 9133714 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 30,5 %-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 9895451 ლარი

შეადგინა, რაც მიმდინარე ხარჯის 33,1 %-ია. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 4055842 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 13,6 %-ს შეადგენს. ოფისის ხარჯზე მიიმართა 1280553 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 4,3 %-ია. ტრანსპორტისმოვლლა-სენახვისდა ექსპლოატაციის ხარჯი გაწეულია 2594535 ლარი, რაც გაწეული ხარჯების 8,7 %-ია. სოციალური ღონისძიებების კუთხით მიიმართა 1345339 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 4,5 %-ს შეადგენს. სხვა ხარჯების მუხლში გაწეულია 8084809 ლარი (სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები)-მიმდინარე ხარჯების 27,0 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში მიიმართა 27923371 ლარი-საკასო ხარჯის 48,3 %. ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა 188008 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო", „ხალხის ძალა".

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის აპრილის თვის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, თანამომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.
მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვეში შემოსულობები მობილიზებულლია 2459397 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) – 1305197 ლარი; აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი 1294764 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 323142 ლარი, მათ შორის ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 201096 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 831057ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3951226 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 773770 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 878483 ლარი. მათ შორის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 119469 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 767613 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:
ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს კერძო კომპანია არაკეთილსინდისიერად ასრულებს, რის შედეგადაც დარჩა არაერთი პრობლემა გარდა ამისა, დასაქმებულთა გარკვეულ ნაწილს 5-7 თვის ხელფასი არ აქვთ აღებული. მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ხელფასებთან დაკავშირებით რამდენად შეძლებენ დახმარებას, უცნობია, მაგრამ რაც შეეხება სამუშაოებს, კომპანიამ მომართა მუნიციპალიტეტს, რომ წლის ბოლომდე მოხდეს ხელშეკრულების გაგრძელება, რათა შეძლონ სამუშაოების დასრულება. ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ახალი ტენდერი არ გამოცხადდება. იმ ქუჩებთან დაკავშირებით, სადაც მოხდა ასფალტის საფარის დაზიანება, გაიგზავნება წერილი შესაბამის უწყებაში. გარკვეულწილად, ამ კუთხით მოხდება თანხის დამატება, რაზეც ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმება მიღწეულია. ასევე, სოფელ ჯუნჯუათში გამორჩენილია 60 ოჯახი. აღნიშნულ კომპანიას სხვა მუნიციპალიტეტებშიც აქვთ გარკვეული პრობლემები.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს აქტიურად დაიწყო იმ ქვეითად მოსიარულეების დაჯარიმება, რომლებიც არ სარგებლობენ ზებრა გადასასვლელით, მაგრამ სრულიად შეუსაბამო ადილზეა სუპერმარკეტ ,,ლიბრეს“ წინ დახაზული ზებრა გადასასვლელი, რადგან პირდაპირ ბორდიურზე უნდა გადავიდეს ადამიანი.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მისთვის აქამდე არ იყო ცნობილი ფეხით მოსიარულეთა დაჯარიმებების შესახებ. მისი აზრით, ამ კუთხით რაღაც საკითხები იქნება გასათვალისწინებელი. რაც შეეხება სუპერმარკეტის წინ ზებრა გადასასვლელს, არის გარკვეული გეგმა იმის თაობაზე, რომ შევიწროვდეს სკვერი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ უნდა გამოხატონ კეთილი ნება და ქვეითად მოსიარულე პირველ ჯერზე სიტყვიერად გააფრთხილონ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში ვერც ერთი საავადმყოფო ვერ უწევს მოქალაქეებს შესაბამის და სათანადო მომსახურებას. უმეტეს შემთხვევაში ხდება პაციენტების გადაგზავნა სხვა მუნიციპალიტეტებში. საკრებულოს ბიუროს წევრები

დაეთანხმნენ კოლეგას. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუკი ჯანდაცვის სამინისტრო ვერ შეძლებს საკითხის დარეგულირებას და დახმარებას პრობლემის მოგვარებაში, მაშინ, იქნებ მუნიციპალიტეტში აამოქმედონ გარკვეული პროგრამა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რამდენიმე პროფილის ექიმთან დაკავშირებით, რათა საკითხი მოექცეს იურიდიულ ჩარჩოებში.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მალე დადგება ექიმების დეფიციტი, არადა ძალიან ბევრი კარგი და გამოცდილი ექიმია ლანჩხუთიდან წასული. მისი აზრით, უნდა შეიქმნას მუნიციპალური საავადმყოფოები.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ რამდენიმე საკითხი მართლაც ძალიან მტკივნეული თემაა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი